www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 26 ნოემბერი, 2013 წელი. | №3415 (222) | ფასი 50 თეთრი

ცვლილებები მთავრობაში

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს მთავრობამ გუშინ პირველი სხდომა გამართა. მინისტრები სწორედ პრემიერ-მინისტრის წინაშე წარადგენენ მოადგილეთა კანდიდატურებს, რომელთა უმეტესობის ვინაობა ცნობილია. ყველაზე მეტი საკადრო ცვლილება, როგორც მოსალოდნელი იყო, შსს-ში იგეგმება. შინაგან საქმეთა მინისტრ ლექსო ჭიკაიძის თქმით, მინისტრის პირველი მოადგილე სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს უფროსი გიორგი ზედელაშვილი იქნება. როგორც ჭიკაიძემ აღნიშნა, მინისტრის მოადგილის პოსტს, ალექსი ბატიაშვილის ნაცვლად (იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ინიშნება), შსს-ში საკადრო და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი დავით ხუციშვილი დაიკავებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას ინარჩუნებენ ლევან იზორია და ვახტანგ გომელაური. მინისტრის ამჟამიდელი მოადგილის ალექსანდრე ტაბატაძის საკითხი კი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

პირველ მოადგილეს ცვლის იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი - დავით ჯანდიერს მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე შეცვლის, რომელიც სამინისტროს საპარლამენტო მდივნის ფუნქციასაც შეინარჩუნებს. თეა წულუკიანმა პირველი მოადგილის გათავისუფლების მიზეზებზე საუბრისას აღნიშნა, რომ იმ პერიოდიდან იცნობს, როდესაც დავით ჯანდიერი მასთან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სტაჟირებას 3 თვის განმავლობაში გადიოდა. წულუკინის შეფასებით, ბოლო ერთი წელიწადი გამძლეობაში, სერიოზულობასა და საქმისადმი სწორ მიდგომაში სერიოზული გამოცდა იყო.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

უკრაინის შეჩერება და საქართველოს ევროპული მომავალი

უკრაინის დედაქალაქში ვითარება ისევ დაძაბულია. უკრაინის ევროინტეგრაციის მომხრეებსა და სამართალდამცავებს შორის კვლავ შეტაკებები მოხდა, რა დროსაც მილიციამ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

უკრაინის მთავრობის სახლთან 500-მდე მომიტინგე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი აზაროვის გადადგომის მოთხოვნით შეიკრიბა. აქციის მონაწილეები ქვეყნის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს ციხიდან გათავისუფლებასაც მოითხოვენ.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი აცხადებს, რომ მას ევროინტეგრაციის კურსის მხარდამჭერი აქციები არ აშინებს. მისივე თქმით, მინისტრთა კაბინეტი უკრაინაში 2004 წელს განვითარებული მოვლენების გამეორებას არ დაუშვებს.

„მაშინ ჩვენ თვალწინ სრულიად მშვიდად, ტექნიკურად განხორციელდა კანონიერი ხელისუფლების დამხობა,“ - აღნიშნა აზაროვმა.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს თბილისში ეხმაურებიან. საგარეო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველ ვანო მაჭავარიანის შეფასებით, უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისთვის ყველაფერი ფინანსურ კომპენსაციებამდე მიდის. მაჭავარიანის თქმით, ევროკავშირს უკრაინის მიმართ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდა, მაგრამ ფინანსური კუთხით პროცესი რთულად ვითარდება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ირანთან წინასწარი ბირთვული შეთანხმება მიღწეულია

ივა შილაკაძე

ჟენევაში ირანსა და საერთაშორისო შუამავლების ექვსეულს შორის ირანის ბირთვული პროგრამისა და სანქციების საკითხზე მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი კვირას წარმატებით დამთავრდა. მოლაპარაკებებში ჩართული ყველა მხარე ამ შეთანხმებას ისტორიულს უწოდებს და შემდგომი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების დადების წინაპირობად მიიჩნევს. თუმცა არიან სკეპტიკოსებიც.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

უკრაინელები ევროინტეგრაციისთვის ხელისუფლებას ებრძვიან

ივა შილაკაძე

უკრაინის სხვადასხვა ქალაქებში ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად უვადო მასობრივი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. ხალხი და ოპოზიცია ვილნიუსში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ევროპასთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერას მოითხოვს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		16°C - 8°C
ქუთაისი		17°C - 15°C
ზუგდიდი		16°C - 9°C
ბათუმი		18°C - 11°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

იცით, ვის მოვუგეთ?

გიგა გურასაშვილი

ბებერმა კონტინენტმა ეს უქმეები ბურთაობაში გაატარა. ევროპულ მინდვრებს სამხრეთ ნახევარსფეროდან თუ ჩრდილოეთ ამერიკიდან ზედა ეშელონის სარაგბო გუნდები სტუმრობდნენ, ისეთები, რომლებსაც პირველი დონის გუნდებად თუ ნაკრებებად მოიხსენიებენ. ერთ-ერთი ასეთი - სამოა - საქართველოში ჩამოვიდა. სამოა - პირველად საქართველოში, პირველად პირველი დონის გუნდი საქართველოში და ბორჯღალოსანთა პირველი გამარჯვება (16:15) მსოფლიო რეიტინგის მოწინავე ათეულის გუნდთან.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ნუ დავუშვებთ გამოუსწორებელ შეცდომას!

სამსონ ლეჟავა
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

უკანასკნელ ხანს კვლავ მწვავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაძლებლობა, ვინაიდან ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შედეგად სერიოზული საშიშროება დაემუქრა ე.წ. „ადგილობრივი მნიშვნელობის“ ძეგლებს, რომელთა თვალსაჩინო სულიერი, ისტორიული და მხატვრული ღირებულება დიდწილად უკვე გამოვლენილია.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ბაჩო ახალაია: „ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, 5, 10 თუ 20 წლის შემდეგ...“

სააპელაციო სასამართლო ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულთა წინააღმდეგ საჩივარზე გადაწყვეტილებას 4 დეკემბერს გამოაცხადებს.

„სამხედროების წამებისა“ და „ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის“ საქმეზე ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულთა მიმართ საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი პროკურატურამ გაასაჩივრა.

გუშინდელ პროცესზე ბაჩო ახალაიამ და მასთან ერთად ბრალდებულებმა საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს.

საქმეზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა მერაბ კიკაბიძემ განაცხადა, რომ სანამ აღნიშნულ საქმეზე ბრალს წარუდგენდნენ, მას სთხოვდნენ, ბრალდების მოწმე ყოფილიყო. კერძოდ, მერაბ კიკაბიძემ აღნიშნა, რომ იგი ამერიკიდან ჩამოიყვანეს, პროკურატურაში დაიბარეს და პროკურორმა ცაცუამ სთხოვა, ბრალდების მოწმე ყოფილიყო, რადგან „მათ წონიანი მოწმეები სჭირდებოდათ.“

„ცაცუამ მითხრა, რომ თუ გავჯიუტდებოდი, დავემშვიდობებოდი ამერიკას ანუ აღარ მომცემდნენ წასვლის შესაძლებლობას. მას დაეხმარა გამომძიებელი კაციტაძე, მაჩვენა მოწმე არსოშვილის ჩვენება და მითხრა - აი, როგორ მოიქცა ის. ამის შემდეგ ყველამ იცის, როგორ განვითარდა მოვლენები. იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდების მოწმეობაზე უარი განვაცხადე, ბრალი წამიყენეს,“ - თქვა მერაბ კიკაბიძემ.

კიდევ ერთი მოწმის გიგი კალანდაძის განცხადებით, ზეწოლა მასზეც ხორციელდებოდა. იგი წარდგენილ ბრალდებას უსამართლოდ მიიჩნევს, რაც პროცესზე კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

გენერალური შტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იგი თავდაცვის სამინისტროში მოტყუებით მიიყვანეს.

„დაკავებამდე რამდენიმე ხნით ადრე შემხვდა ირაკლი ალასანია. იქ საუბარი იყო იმაზე, რომ მე ვყოფილიყავი ბრალდების მოწმე. ჩემი პოზიცია როცა გაიგეს, ამის შემდეგ დამაკავეს და მოხსნეს ყველა საბრძოლო და ყველა სპეცდანიშნულების მეთაურები. კაბინეტში რომ დამაკავეს, ამის ძირითადი მოტივი ის იყო, რომ მაიძულებდნენ, უფლებამოსილება გადამეტებინა და რამე საშინელება მეთქვა, თუმცა აღნიშნული არ გავაკეთე,“ - ამბობს გიგი კალანდაძე.

მან მოსამართლეს სთხოვა, აღნიშნულ საქმეზე პირველი ინსტანციის გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვოს და ბრალდებულების სკამზე მსხდომი სამხედრო პირები - ზურაბ შამათავა, ალექსანდრე გორგაძე და მერაბ კიკაბიძე შეიარაღებულ ძალებში დააბრუნონ.

ბაჩო ახალაიას განცხადებით, მისი ციხეში ყოფნა ემსახურება, იმას, რომ მან საზოგადოების კითხვებზე პასუხის გაცემა ვერ შეძლოს.

შს და თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თავის საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ მის შესახებ შესაძლოა ბევრი ცუდი რამ სმენიათ, თუმცა ეს ყველაფერი ერთი პოლიტიკური ძალის ქმედებებიდან გამომდინარე ვრცელდებოდა.

„ამ ყველაფერს, რაც ხდება, არაფერი აქვს საერთო მართლმსაჯულებასთან. ეს წმინდა წყლის პოლიტიკური კამპანიაა. დაპატიმრებული ვარ ერთი წლის განმავლობაში 5-ჯერ. ჩემი მეგობრები იმიტომ აღმოჩნდნენ საბრალდებო სკამზე, რომ ჩემთან ჰქონდათ კავშირი. აბსურდია, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გადახედვა ჩვენს დანაშაულს დაამტკიცებს, იქიდან გამომდინარე, რომ დანაშაულს ადგილი, უბრალოდ, არ აქვს. მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დაპატიმრების კამპანია. უკვე დაპატიმრებულია რამდენიმე მინისტრი. ჩემს საქმესაც ამ ჭრილში განვიხილავ. ჩემ მიმართ არსებული დაუსაბუთებელი, გაურკვეველი საუბრები რომ ისმოდა, ეს ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის ქმედებებიდან გამომდინარე ხდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ მე არავის დავუჭერივარ, ჩემი ფეხით მოვედი ჩემს სამშობლოში. ვიცოდი, რომ დამაპატიმრებდნენ, მაგრამ ვალდებულად ჩავთვალე თავი, რომ ჩემი ქვეყნისთვის, რომელსაც მთელი ცხოვრება ვემსახურებოდი და საზოგადოებისთვის ყველა კითხვაზე გამეცა პასუხი. მათ შორის არსებობდა შემზარავი კითხვებიც, თუნდაც სასამართლოზე,“ - განაცხადა ბაჩო ახლაიამ.

მისივე თქმით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

„ბოლო პერიოდში კიდევ ერთი აბსურდული ბრალდება წამიყენეს და ისევ დამაპატიმრეს. ამის ერთადერთი მიზანია, არსებულ კითხვებს პასუხი ვერ გავცე. მე მაქვს ვიწრო საშუალება კითხვებზე პასუხის გაცემისა. ეს არის პოლიტიკური დაკვეთა, რასაც ახორციელებს პროკურატურა. ვიცი, რომ სასამართლოზე მიმდინარეობს ზეწოლა. არ ვამბობ, რომ ყველაფერი ისე ჩაივლის, როგორც მართლმსაჯულებას შეესაბამება, მაგრამ 5, 10 თუ 20 წლის შემდეგ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი და ვინც ჩემი მეგობრების ციხეში ხელოვნურად ჩასმას ცდილობს, ამის გამო პასუხს აგებს,“ - განაცხადა ბაჩო ახალაიამ და სასამართლოს მიმართა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მის და მასთან ერთად ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, ძალაში დატოვოს.

ცვლილებები მთავრობაში

პირველი გვერდიდან

ამ საქმიანობის შეფასების შედეგად პირველი მოადგილის შეცვლა გადავწყვიტე,“ - თქვა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებას მოგვიანებით მისი ყოფილი მოადგილე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა. „განვლილი ერთი წელი იუსტიციის სამინისტროში მაფიქრებინებს, რომ ერთგულად, წესიერად ვემსახურე იმ საქმეს, რომელიც მე, როგორც საჯარო მოხელეს, მევალებოდა. გადაწყვეტილებებს ვიღებდი ყოველთვის გაბედულად, თუმცა საკითხის სათანადოდ აწონ-დაწონვისა და გაანალიზების შემდეგ. მსურს, კმაყოფილებით გავიხსენო მუშაობის ეს წელი სხვადასხვა სამინისტროების თანამშრომლებთან, უპირველეს ყოვლისა კი - იუსტიციის სისტემის მუშაკებთან. მინდა, განსაკუთრებული პატივისცემა დავადასტურო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომლის მხარდაჭერის გარეშეც ვერ შევძლებდი მემუშავა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს გაწეული თანადგომისთვის.

მჯერა, რომ მხოლოდ პროფესიონალიზმით, გონივრული, ჯანსაღი და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმის პირობებში შეძლებს იუსტიციის სამინისტრო წარმატების მიღწევას, იმ ურთულესი ამოცანებისა და განსახორციელებელი საკითხების გადაწყვეტას, რომელთა წინაშეც ის დგას,“ - წერს დავით ჯანდიერი. ამასთან, ჯანდიერი იხსენებს, როდის და სად გაიცნო თეა წულუკიანი. „თეა წულუკიანი გავიცანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც როგორც იურისტი გავდიოდი სტაჟირებას (კონკრეტულად ვინმეს სტაჟიორი არ ვყოფილვარ). უკეთ კი იუსტიციის ამჟამინდელმა მინისტრმა გამიცნო მაშინ, როდესაც გირგვლიანის ოჯახის ინტერესებს ვიცავდი ევროპულ სასამართლოში და მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიყავი ნაძალადევის რაიონში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში,“ - წერს ჯანდიერი.

იუსტიციის მინისტრის თანამდებობას შეინარჩუნებენ ალექსანდრე ბურჭულაძე და გოჩა ლორთქიფანიძე, მეოთხე მოადგილე კი აღსრულების ბიუროს ამჟამინდელი ხელმძღვანელი მიხეილ სარჯველაძე იქნება. **„ეს არის გუნდი, რომელთანაც იმ სერიოზული საქმის გაგრძელებას ვაპირებ, რომელიც ხელმეორედ მოგვანდეს,“** - ამბობს წულუკიანი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მოადგილეს უახლოეს დღეებში შეარჩევს. მინისტრის ყოფილი მოადგილე შოთა მურღულია ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ნარმანიას ინფორმაციით, კონსულტაციები მიმდინარეობს და კანდიდატურა რამდენიმე დღეში შეირჩევა. როგორც მინისტრმა თქვა, პირველი მოადგილის პოსტს თენგიზ შერგელაშვილი ინარჩუნებს.

გუბერნატორების კანდიდატურების შესახებ კონსულტაციებს კი მიმდინარე კვირის ბოლოდან დაიწყებს. როგორც დავით ნარმანია აღნიშნავს, გუშინ დასრულდა მუშაობა დებულების პროექტზე, რომელიც გუბერნატორების ადმინისტრაციის საქმიანობასა და სამსახურების ჩამონათვალს არეგულირებს. **„პარასკევს, მთავრობის სხდომაზე ამ საკითხს გამოვიტანთ. ამის შემდეგ სამართლებრივი სივრცე გვექნება იმისთვის, რომ გუბერნატორების კანდიდატურებზე კონსულტაციები წარიმართოს და მთავრობამ ისინი დაამტკიცოს,“** - აღნიშნა ნარმანიამ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დავით ნარმანია შეეხო, თბილისის მერობის კანდიდატად „ქართული ოცნების“ მიერ მისი წარდგენაა. ნარმანია პირობას იძლევა, რომ წინასაარჩევნო მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას არ აპირებს. საარჩევნო კანონმდებლობა მას უფლებას აძლევს, მინისტრის პოსტზე საქმიანობა თბილისის მერობის კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებამდე გააგრძელოს. თუმცა, ანალოგიურ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის კანდიდატისთვის მინისტრის თანამდებობის შეუთავსებლობის შესახებ ცვლილებები საარჩევნო კოდექსში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების შემდეგ განათლების და მეცნიერების მინისტრის თანამდებობა თავისი სურვილით დატოვა.

ნარმანია კანდიდატად ოფიციალურად დასახელებამდე გადადგომას არ აპირებს და აღნიშნავს: **„ძალიან კარგად მიცნობთ და წლების განმავლობაში საზოგადოებრივი სექტორიდან ამ ყველაფერს ვებრძოდი. ადმინისტრაციული რესურსი აქამდე არ გამომიყენებია, როცა გიორგი მარგველაშვილის წინასაპრეზიდენტო კანპანიაში ვიყავი ჩართული და არც ახლა გამოვიყენებ.“**

ნარმანიას განმარტებით, კონფლიქტი არ არის, რადგან ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო დედაქალაქში პროექტებსა და პროგრამებს არ ახორციელებს.

რაც შეეხება მთავრობის სხდომის დღის წესრიგს, მინისტრთა კაბინეტმა სულ 35 საკითხი დაამტკიცა, მათ შორის ანაკლიის პორტის ე.წ. მიზანშეწონილობის კვლევის დასაფინანსებლად საპარტნიორო ფონდიდან თანხის გამოყოფის საკითხი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ ამ მიზნით 5 მილიონი აშშ დოლარი გამოიყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს მსოფლიოში საუკეთესო კომპანიების მოზიდვა. კვირიკაშვილი კვლევის დატვირთვის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ შავი ზღვის პირას სატრანსპორტო ლოჯისტიკური კვანძის, მათ შორის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის მომზადება იმისთვის არის საჭირო, რომ ის საბანკო ინსტიტუტებში წარსადგენი დოკუმენტი იქნება. მინისტრის ინფორმაციით, ანაკლიის პორტის მიზანშეწონილობის კვლევას რამდენიმე თვე დასჭირდება.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით ეკონომიკის სამინისტროს ჩაძირული გემის „სტელას“ დაკარგული კაპიტნის ლევან თებიძის მოსაძიებელი სამუშაოების დაფინანსება დაევალა. **„ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან საზღვაო სააგენტოს მეშვეობით კვლევა-ძიების სამუშაოებისთვის თანხა გამოიყოფა. სიერა ლეონეს და საბერძნეთის მთავრობასთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და რამდენიმედღიანი სამუშაოები იგეგმება,** - თქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ამცნო მედიას რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა. როგორც მინისტრი ამბობს, რელიგიური გაერთიანებების ირგვლივ ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომლის დებულებაც მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა. როგორც ზაქარეიშვილი აღნიშნავს, სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან სახელმწიფოს სამართლებრივ ურთიერთობას უწყებათშორისი კომისია დაარეგულირებს.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან აქვს და ეს საკონსტიტუციო ხელშეკრულებით რეგულირდება.

სახელმწიფო მინისტრი აღნიშნავს, რომ სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან სახელმწიფოს არანაირი სამართლებრივი ბმა არ გააჩნია, რაც ისეთ გაუგებრობებს იწვევს, როგორიც არის ამა თუ იმ საკულტო ნაგებობის მშენებლობის კანონიერების და მისი დაფინანსების წყაროების საკითხი. **„ვფიქრობთ, ამ ტიპის საკითხებს კომისია დაარეგულირებს და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს მთავრობასა და პარლამენტს წარუდგენს,“** - თქვა პაატა ზაქარეიშვილმა.

უწყებათშორის კომისიაში სამინისტროების უმრავლესობაა გაერთიანებული.

მთავრობამ ასევე თამბაქოს კონტროლის 2013-2018 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. მთავრობამ ამ მიმართულებით სტრატეგია ზაფხულში მიიღო, სამოქმედო გეგმაში კი, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამბობს, ადმინისტრაციული, კანონშემოქმედებითი და სხვა სახის ფუნქციები იქნება დელეგირებული. მინისტრის თქმით, სამოქმედო გეგმაში

კალენდარულად გაწერილია კონკრეტული აქტივობები. დოკუმენტი სამ მიმართულებას მოიცავს: პირველი საგანმანათლებლო და ახსნა-განმარტებით სამუშაოებს გულისხმობს და არამწეველი მოქალაქეებისთვის არის განკუთვნილი, რათა მათ თამბაქოს მოხმარება არ დაიწყონ; მეორე მიმართულება მწეველებისთვის თამბაქოზე უარის სათქმელად დახმარების გაწევას ისახავს მიზნად; მესამე მიმართულება პასიური მოწევით გამოწვეული ზიანის შემცირებას ითვალისწინებს.

2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ საუბრობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური. მისი ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც პარლამენტს დოკუმენტის შესწორებული ვარიანტი გაეგზავნება, საკანონმდებლო ორგანო ბიუჯეტს, სავარაუდოდ, 19 დეკემბერს მიიღებს.

ფინანსთან მინისტრმა მიმდინარე წლის ბიუჯეტზეც შეაჩერა ყურადღება. მისი თქმით, პრიორიტეტული მიმართულებებით ცვლილებები 2013 წლის ბიუჯეტშიც შევა, მაგრამ არა შემცირების, არამედ ზრდის მიმართულებით.

მინისტრებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუათში მიმდინარე პროცესებიც შეაფასეს. საქმე ის არის, რომ საოკუპაციო ძალებმა გამყოფი ხაზის სიახლოვეს, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიწის დამუშავება დაიწყეს. პაატა ზაქარეიშვილი არ გამორიცხავს, რომ ეს ნაბიჯი ვილნიუსის სამიტს უკავშირდებოდეს. **„გამორიცხული არაფერია, მაგრამ აშკარაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მართლაც გაჩერდა გამყოფი ხაზის გასწვრივ მართულხლართების მშენებლობა და ამ ეტაპზე ეს საკითხი აქტუალური არ არის. თუმცა, საჭიროა მეტი ყურადღება,“** - აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი. ზაქარეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ფაქტი ერთჯერადი ხასიათის იქნება.

ლექსო ჭიკაიძის ინფორმაციით, საოკუპაციო ხაზთან შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც ვითარებას ადგილზე სწავლობენ. როგორც ჭიკაიძე ამბობს, ანალიტიკური დეპარტამენტი მიღებულ ინფორმაციას გააანალიზებს და ამ საკითხს 9 დეკემბერს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის სხდომაზე წარადგენს. მინისტრის თქმით, მთავრობა აღნიშნულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უკრაინის შეჩერება და საქართველოს ევროპული მომავალი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

„ევროკავშირთან მიმართებით უკრაინის სტატუსი საქართველოსგან განსხვავდება. უკრაინას ვილნიუსში ასოცირების ხელშეკრულებაზე უნდა მოეწერა ხელი, რომელიც ევროპასთან დაახლოების რეალური ნაბიჯია. საქართველოს ამ ეტაპზე პარაფირების შეთავაზება აქვს. ჩვენ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ მომავალ წელს შევძლებთ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ამ თვალსაზრისით უკრაინის მიმართ ძალიან დიდი ინტერესი არსებობდა. ევროპისთვის უკრაინა ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა. პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. თუ დააკვირდებით, თავად უკრაინის მთავრობაც იმაზე აპელირებს, რომ ასოცირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მოლაპარაკებები გრძელდება. ბოლოს მაინც ირკვევა, რომ ყველაფერი კონკრეტულ კომპენსაციებამდე მიდის, რასაც უკრაინა ითხოვს - საუბარია აღმოსავლეთ უკრაინაში მოქმედ საწარმოებზე, რომლებიც რუსულ ეკონომიკასთან არის მიბმული, ასევე გაზის თემაზე, რაც ასევე უკრაინის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად ებმის. დაახლოებით 20 მილიარდდოლარიან კომპენსაციებზეა საუბარი,“ - განაცხადა ვანო მაჭავარიანმა.

რაც შეეხება საქართველოს, მაჭავარიანი ამბობს, რომ სიტუაცია უკრაინისგან განსხვავდება და ამ კონტექსტში ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ **„უკრაინისგან და მოლდოვასგან განსხვავებით, საქართველოში მკვეთრად გამოკვეთილი პრორუსული პოლიტიკური ძალები არ არიან.“**

„პრეზიდენტს და მთავრობას ბევრი სამუშაო ექნებათ ჩასატარებელი იმისთვის, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე თავიდან ავიცილოთ საფრთხეები, რომლებსაც საქართველო შეიძლება, პოლიტიკური შანტაჟის ან მუქარის სახით წააწყდეს,“ - ამბობს ვანო მაჭავარიანი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი აღნიშნავს, რომ საქართველო გაითვალისწინებს იმას, თუ რამ მიიყვანა უკრაინა ამ მდგომარეობამდე.

მისივე თქმით, ევროკავშირთან პარაფირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე უკრაინის უარი სამწუხაროა, თუმცა აღნიშნული საქართველოს გადაწყვეტილებაზე გავლენას არ მოახდენს.

„ძალიან სამწუხაროა უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება, შეაჩეროს მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს საქართველოს გადაწყვეტილებაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. ჩვენ მივემგზავრებით ვილნიუსში. მოვახდენთ შეთანხმების პარაფირებას და მოვემზადებით, რომ 2014 წელს შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ. პროცესები, რომლებიც უკრაინაში მიმდინარეობს, ნამდვილად გასათვალისწინებელია. ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, თუ რამ მიიყვანა უკრაინა ამ მდგომარეობამდე,“ - განაცხადა ზალკალიანმა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საქართველოზე არანაირი გავლენა არ ექნება.

მისივე თქმით, საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებას მოახდენს - ისე, როგორც ეს გადაწყვეტილი და დაგეგმილი იყო.

„თავად უკრაინის მოვლენებს რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწეროს. გადაწყვეტილება უკრაინის ხელისუფლების მისაღებია და ეს არის მათი არჩევანი, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სახეზეა უკრაინელი ხალხის არჩევანიც, იმედი მაქვს, მოიძებნება კომპრომისული გადაწყვეტილება მთავრობასა და მოსახლეობას, უკრაინის ხელისუფლებასა და ევროკავშირს შორის,“ - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობა კი უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო საქართველოს პარლამენტს განცხადების შემუშავებას სთხოვს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბეჟუაშვილის განცხადებით, რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა აუცილებლად დასაგმობია.

„უკრაინის მხარდასაჭერად საქართველოს პარლამენტში უნდა შევიმუშაოთ განცხადება, რითიც გამოვხატავთ ჩვენს თანადგომას უკრაინელი ხალხის მიმართ,“ - განაცხადა ლევან ბეჟუაშვილმა.

მისივე განმარტებით, უკრაინის შემდეგ რუსეთის დარტყმის ობიექტი საქართველო იქნება, ამიტომ პრევენციული ზომების მიღება აუცილებელია.

„ჩვენს პარტიას მეგობრული ურთიერთობა აქვს კლიჩკოს პარტიასთან და ერთობლივი ინიციატივების შემუშავებასაც ვგეგმავთ,“ - განაცხადა ლევან ბეჟუაშვილმა.

პარლამენტარის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნულ ინიციატივას ბიუროს დღევანდელ სხდომაზე დააყენებს და იმედოვნებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობაც გვერდით დაუდგება.

„ეს არ იქნება მარტო უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა, ეს იქნება იმ პროცესების დაგმობა, რომლებსაც რუსეთი ახორციელებს,“ - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი პოლიტიკური ანგარიშსწორების კამპანიაზე თვალს ვერ დახუჭავს.

„მთავარი გაკვეთილი, რაც მომხდარიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ რანაირი გეოპოლიტიკური ფაქტორებიც არ უნდა გვხვდებოდეს, ევროკავშირი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეეგუება შერჩევით სამართალს და ვერც ერთ შემთხვევაში თვალს ვერ დახუჭავს პოლიტიკური ანგარიშსწორების კამპანიაზე,“ - განაცხადა კანდელაკმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე წუხს, რომ საქართველოს ძალიან კარგი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა უკრაინა, რუსეთის მხრიდან საკმაოდ სერიოზული ძალდატანებისა და წნეხის გამო, იძულებული გახდა, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადაედგა.

„უკრაინამ ვერ შეძლო, წინ აღდგომოდა იმ ძლიერ ეკონომიკურ ზეწოლას ისეთი დომინანტი ქვეყნისგან, როგორიც რუსეთია და ნუ გიკვირთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინაში ეკონომიკის თვალსაზრისით მართლაც ძალიან მძიმე პროცესები განვითარდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, უკრაინა ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, უკრაინა უნდა წასულიყო ძლიერ ეკონომიკურ პრობლემებზე, შიდა არეულობაზეც, მაგრამ უფრო მეტი პროგრესული ნაბიჯი უნდა გადაედგა თავის არსებობაში, საქმიანობაში და შესაბამისად, ევროპისკენ უფრო ახლოს უნდა წასულიყო,“ - თქვა დავით საგანელიძემ.

უმრავლესობის ლიდერი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ დიპლომატიურ დონეზე განცხადების გაკეთება ამ სიტუაციაში სწორი არ არის, რადგან ეს მეზობელ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევა იქნება.

„არავინ თქვას, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები, საბოლოო ჯამში, საქართველოზე არ მოქმედებს. მე არ ვგულისხმობ 28-29 ნოემბრის შედეგებს, როდესაც ხელშეკრულების პარაფირება მოხდება. ამას ხელს ვერაფერი შეუშლის, თუმცა ის ერთი წელი, რომელიც ჩვენ პარაფირებიდან ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერამდე გვაქვს, ძალიან რთული იქნება, რადგან რუსეთი, როგორც „უკრაინასთან გამარჯვებული ქვეყანა“, შეიძლება, უფრო მეტი მოტივაციით, უფრო მეტი ენერგიით, უფრო მეტი თვითდაჯერებით შეუდგეს საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას, რაც ჩვენთვის სერიოზული გამოწვევა იქნება,“ - აღნიშნა დავით საგანელიძემ.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი კი მიიჩნევს, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები ერთგვარი გამოფხიზლება და კარგი მაგალითია ბრიუსელისთვის.

„უკრაინა საქართველოსთვის ძალიან სერიოზული პარტნიორი იქნებოდა, ვილნიუსის სამიტზე ჩვენ ერთად რომ მივდიოდეთ. როდესაც გვერდით ამხელა ქვეყანა გყავს, უფრო მყარად ხარ, მაგრამ იმის მიუხედავად, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო უკარაინის ხელისუფლებამ, ეს საქართველოზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს. უფრო მეტიც, შესაძლებელია, ეს იყოს სერიოზული განგაშის ზარი თავად ევროკავშირისთვის, რათა პროცესები უფრო სწრაფი ტემპით წარიმართოს და გადაწყვეტილებას ბრიუსელში უფრო სწრაფად და მობილურად იღებდნენ. უკრაინის მოვლენები ერთგვარი გამოფხიზლება და კარგი მაგალითია ბრიუსელისთვის. ამ თვალსაზრისით უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რომ საქართველოს შანსები, პროგრესი დაჩქარდება,“ - ამბობს პარლამენტარი.

მოწმეთა სიმრავლით შინაარსი არ იცვლება

მერაბიშვილ-ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი 28 ნოემბერს განახლდება

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გუშინ მოწმეთა დაკითხვით განახლდა. პროცესს ვანო მერაბიშვილი არ დასწრებია.

ყოფილ პრემიერს და ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს გამოძიება 2012 წელს დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას, თანხის მითვისება-გაფლანგვას და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავება.

მივადექით იმ ეტაპს, როდესაც ბრალდების მხარის მიერ მოყვანილი მოწმეები ახალს ვერაფერს იძლევიან. არც ერთი მოწმე ჩემ ან მერაბიშვილის წინააღმდეგ არაფერს ამბობს და 3969 მოწმის ამ რეჟიმში ტარება ყოველგვარ აზრს მოკლებულია,“ - განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარის 16 მოწმე დაიკითხა. პროკურატურის მტკიცებით, 16-ვემ სახელმწიფო ბრალდების მტკიცებულებები გაამყარა.

„მივიჩნევთ, ეს მტკიცებულებები აუცილებელია, რათა დადგინდეს, რომ ეს თანხა ნამდვილად გაფლანგულ იქნა და მოხდა ამომრჩეველთა მსყიდვა წინასაარჩევნო პერიოდში. რაც შეეხება მომდევნო სხდომებს, ჩვენ წარმოვადგენთ, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ და დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომლებიც პირდაპირ ადასტურებს ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ივანე მერაბიშვილის ბრალეულობას,“ - განაცხადა პროკურორმა ნათია სონღულაშვილმა.

დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ სასამართლო პროცესებზე აქამდე წარმოდგენელი ვერც ერთი მოწმე ვერ ადასტურებს, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილს და ვანო მერაბიშვილს რამე ბრალეულობა მიუძღვით.

„საქმე გვაქვს თავიდანვე გამიზნულ ისტორიაზე, რომელიც შეთხზეს და ამ ისტორიის გასაჯანსაღებლად მოიგონეს მითი, რომ არსებობს 3969 მოწმე, მაგრამ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, შინაარსობრივად რა ჩვენებებს იძლევიან ისინი. როდესაც ბრალდებას 100 მოწმე ჰყავს დაკითხული და მათგან არც ერთი ადებს ხელს მერაბიშვილს და ჭიაბერაშვილს, როგორც რაიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს, დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო დააყენებს გამამართლებელ განაჩენს,“ - განაცხადა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეზე მომდევნო სასამართლო პროცესი 28 ნოემბერს გაიმართება.

„ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერობის კანდიდატს პრაიმერის საშუალებით გამოავლენს

„ნაციონალური მოძრაობა“ თბილისის მერობის კანდიდატს პრაიმერის საშუალებით გამოავლენს, - ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა.

„პარტიაში ყველამ შეიძლება, საკუთარი თავი დაასახელოს მერობის კანდიდატად. მე არც ერთი კანდიდატურის დასახელებას არ ვაპირებ. ეს იქნება ღია, გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის გასაგები პროცესი. თვითმმართველობის არჩევნები ჯერ ძალიან შორს არის, ამიტომ მერობის კანდიდატურების დასახელებას არ ვჩქარობთ,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ მმართველობის ახალ ეტაპზე გადადის.

„პარტია იქნება უფრო გახსნილი და გამჭვირვალე. ყველა მსურველი შეძლებს პარტიის საქმიანობაში მონაწილეობას. ჩვენ პრეცედენტი შევქმენით და პრეზიდენტობის კანდიდატი პრაიმერის გზით დავასახელეთ. ასე გამჭვირვალედ მუშაობის გაგრძელებას ვაპირებთ,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე ინფორმაციით, გუშინ პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომა ჩატარდა, სადაც გადაწყდა, რომ პარტიული თანამდებობის დაკავებას „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი წევრი შეძლებს, რომელიც საკუთარ თავს ამა თუ იმ თანამდებობაზე დაასახელებს.

ბაქარძის თქმით, ერთი კვირის განმავლობაში იქნება ღია პროცესი იმ ადამიანების გამოსავლენად, ვისაც სურვილი აქვს, პარტიული თანამდებობების დაკავებისთვის იბრძოლოს.

„მიმდინარე კვირის ბოლოს არჩევნები გვექნება და ახალ სამდივნოს და ხელმძღვანელობას ავირჩევთ. ჩვენს პარტიაში არ მოხდება ერთი ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღება. ეს იქნება მთლიანი პარტიული ინტერესიდან გამომდინარე. ყველას აზრი იქნება გათვალისწინებული,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

რაც შეეხება პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობას, ბაქრაძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის შემცვლელზე მსჯელობა არ იქნება, რადგან მერაბიშვილი საპატიმროში იმყოფება.

„ამ ადამიანის გადარჩევა არ მოხდება. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპებს. არ ვაპირებთ კონკურენციას იმ ადამიანთან, რომელიც ამდენი ხანია, პატიმრობაში უსამართლოდ იმყოფება. პარტიის გენერალურ მდივნად ვანო მერაბიშვილი დარჩება,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

გიგი უგულავა დავით ნარმანიას შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ დისკუსიას სთავაზობს

თბილისის მერი გიგი უგულავა მერის პოსტზე დავით ნარმანიას წარდგენის გამო ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდის და აცხადებს, რომ მიესალმება ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ „ქართულ საზოგადოებაში აქამდე არსებული ყველა სტერეოტიპის დამსხვრევის მცდელობას“.

„ორი დღეა, ყველა ტელევიზიით, გაზეთით თუ რადიოთი ვისმენ ბიძინა ივანიშვილისადმი მადლობებს დავით ნარმანიას კანდიდატურის დასახელების გამო და მინდა, ამ მადლობას შევუერთდე. აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ, რადგან ამ ადამიანმა გადაწყვიტა, ყველა სტერეოტიპი დაამსხვრიოს, რაც ჩვენს საზოგადოებაში არსებულა. ეს მხოლოდ მისასალმებელია. სტერეოტიპი დაამსხვრია, როცა პრეზიდენტად ავირჩიეთ „კალიგულას ცხენი“ და ეს ყველაზე გავრცელებული მეტაფორა იყო, რაც მას უხდებოდა. ახლა თბილისის მერად გვთავაზობენ კალიგულას პონს. არ ვშაყირობ, გულწრფელად ვამბობ, სტერეოტიპები უნდა დაიმსხვრეს. არ მიმაჩნია, რომ მაინცდამაინც ხოხობთან ერთად დაბადებული ადამიანი უნდა იყოს თბილისის მერი,“ - განუცხადა უგულავამ ჟურნალისტებს.

ამასთან, დედაქალაქის მერი დავით ნარმანიას „საქართველოს მთავრობის მიერ შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ დისკუსიას სთავაზობს.

უგულავას განმარტებით, იგი ნარმანიაზე, როგორც მერობის კანდიდატზე, ვერაფერს იტყვის, მაგრამ როგორც მინისტრი, ის იყო ადამიანი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში თბილისს ორი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი წაართვა.

„მე შემიძლია, ამ ადამიანზე ვილაპარაკო, როგორც მინისტრზე. ამ ადამიანმა 6 თვის განმავლობაში საერთოდ ვერაფერი გააკეთა - ყველა პროექტი გააჩერა, რადგან ვერ გაერკვა, რისი მინისტრი იყო. შემდეგ მისი უშუალო მეცადინეობით და ხრიკებით, გაჩერდა თბილისის შემოვლითი რკინიგზა, ასევე მისი უშუალო დავალებით შეჩერდა სამანქანო ხიდის პროექტი, რომელიც ვეფხისა და მოყმის ძეგლიდან სამტრედიის ქუჩაზე გადადიოდა და საცობების განმუხტვისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია. ასე რომ, ინფრასტრუქტურის მინისტრობის ერთი წლის განმავლობაში ორი ინფრასტრუქტურული პროექტი წაართვა თბილისს. ამ ადამიანს საერთოდ არ ამოუღია ხმა მაშინ, როცა მთავრობამ 50 მილიონით შეუმცირა ქალაქს ბიუჯეტი. ამ ადამიანს ევალებოდა ცენტრალური მთავრობიდან რეგიონების კოორდინირება და როცა მთელი ერთი წლის განმავლობაში რეგიონებში, ცეცხლითა და მახვილით, ყველა ძალოვანი უწყება „ოცნების ხატზე“ აფიცებდა საკრებულოს არჩეულ წევრებს, ერთხელაც კი ხმა არ ამოუღია და არ გაუპროტესტებია ის ძალადობა, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ხორციელდებოდა. ამ ადამიანმა პირველივე გამოცხადების დღიდან ერთ მარტივ და არა რთულ და ქვეწყობილ წინადადებაში ორჯერ ახსენა „41“, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიდან ბოლომდე პარტიის და პარტიული ინერციის ამარაა და მხოლოდ და მხოლოდ პარტიის და პარტიული ინერციის ხარჯზე უნდა გავიდეს და გახდეს თბილისის მერი და არა საკუთარი ინდივიდუალურობის. აი, ეს არის ადამიანი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შემოგვთავაზა. დანარჩენი, მე მას ვთავაზობ ღირსეულ, სუფთა კამპანიას და მზად ვარ (რადგან პოლიტიკოსი არ უნდა იყოსო), არა დებატები, არამედ დისკუსია შევთავაზო თბილისის საკითხებზე, იმ პრობლემებზე, რომლებიც ობიექტურად არსებობს და ასევე იმ პრობლემებზე, რომლებიც ცენტრალურმა მთავრობამ ამ ერთი წლის განმავლობაში შეუქმნა თბილისს,“ - აღნიშნა თბილისის მერმა.

უკრაინელები ევროინტეგრაციისთვის ხელისუფლებას ებრძვიან

პირველი გვერდიდან

ძნელია, ივარაუდო, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ კიევში ასეთი მასობრივი აქცია „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ აღარ ყოფილა. გუშინ გაკეთებული ოფიციალური განცხადებებიდან გამოჩნდა, რომ პრინციპში ამის წინააღმდეგ არც ევროკავშირია და თითქოს არც უკრაინის ხელისუფლება. ამისთვის ოფიციალურ კიევს ერთ კვირაში მეორედ მოუწევს, 180 გრადუსით შეიცვალოს პოლიტიკური კურსი. ამის იმედი ნაკლებია, მაგრამ პრეზიდენტი იანუკოვიჩი ვილნიუსის სამიტზე მაინც მიემგზავრება.

„24 საათი“ შაბათის ნომერში უკვე წერდა, რომ უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის კურსის შეჩერების შემდეგ აღშფოთებული ხალხი პოლიტიკურ პარტიებს არ დაელოდა და პარასკევს კიევის ცენტრში დამოუკიდებლობის მოედანზე სტიქიურად დაიწყო შეკრება. აქციის ორგანიზება ისევ მთელ მსოფლიოში ბოლო დროს „აპრობირებული“ სოციალური ქსელებით მოხდა. ოპოზიციური პარტიებიდან პოლიტიკოსები ხალხს მოგვიანებით შეუერთდნენ. ოპოზიციას კვირას, 24 ნოემბერს დიდი აქცია ისედაც დაგეგმილი ჰქონდა და უკრაინის მთავრობის მოულოდნელმა „სვლამ“ საპროტესტო ელექტორატი რამდენჯერმე გაზარდა.

კვირას კიევში, სხვადასხვა მონაცემებით, 100-დან 150 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ხალხი ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტის სკვერში მოგროვდა და დაიწყო მსვლელობა ხრეშჩატიკის გავლით ევროპის მოედნამდე, სადაც მიტინგი გაიმართა. მიტინგზე ოპოზიციური პარტიის ლიდერებიც გამოვიდნენ. „ბატკივშჩინას“ ლიდერმა არსენი იაცენიუკმა პრეზიდენტ იანუკოვიჩისგან ვილნიუსში ხელშეკრულებების ხელმოწერა და პოლიტიკური კურსის მოულოდნელი შეცვლისთვის მთავრობის დათხოვნა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია და ხალხი ქვეყნის ღალატისთვის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებით კვლავ იმუქრება. ამისთვის ხელმოწერები უკვე გროვდება. ხელისუფლება ოპოზიციისთვის ხელის შეშლას ავტორიტარული ქვეყნისთვის დამახასიათებელი მეთოდებით ცდილობდა. მაგალითად, კიევის არც ერთ აეროპორტში არ მისცეს დაჯდომის უფლება იმ თვითმფრინავს, რომლითაც პარტია „უდარის“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო ევროპელ კოლეგებთან კონსულტაციების შემდეგ დედაქალაქში ბრუნდებოდა. მას კრივოი როგში მოუწია დაჯდომამ. საპასპორტო-სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდეგ ოპოზიციური პარტიის ლიდერს საბაჟო კონტროლის გავლაც მოსთხოვეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ აეროპორტში იმ დროს მებაჟეები არ იყვნენ და კლიჩკო მათ უნდა დალოდებოდა. მან ცდა არ მოისურვა და მანქანით კიევში გაემგზავრა. კლიჩკოს ხელისუფლება საზღვრის გადაკვეთის წესების დარღვევაში სდებს ბრალს.

დემონსტრაციის დეტალებსა და მიტინგზე სიტყვით გამოსული პოლიტიკოსების განცხადებებზე აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ აქცია სადღეღამისოა და, სულ ცოტა, ვილნიუსის სამიტის დამთავრებამდე გაგრძელდება. ყოველდღე 19:00 საათზე მიტინგი ჩატარდება. თუ ვილნიუსში დოკუმენტების ხელმოწერა არ შედგა, რისი მცირე იმედი ჯერ კიდევ რჩება, აქცია უსასრულოდ გაგრძელდება, „სანამ არ მოვიგებთ“ - განაცხადა პარტია „ბატკივშჩინას“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრ ტურჩინოვმა.

სხვადასხვა სიდიდის აქციები ჩატარდა ლვოვში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, ტერნოპოლში, როვნოში, ჟიტომირში, კიროვოგრადში და სხვა ქალაქებშიც, უკრაინის თითქმის ყველა საოლქო ცენტრში. კიევშიც და სხვაგანაც უკვე დაფიქსირდა ინციდენტებიც და შეტაკებებიც. ოდესაში ღამით კარვების ქალაქი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დაშალეს. აქციის მონაწილეთა თქმით, მათ პოლიციამ გაუგებარი მასა - ყოფილი პატიმრები თუ ე.წ. „ბომჟები“ მიუსია. ტერნოპოლში სტუდენტებს კარვის დადგმის უფლება არ მისცეს, რადგან აქცია ამ უკანასკნელებმა განაცხადში დაფიქსირებულ დროზე ცოტა ადრე დაიწყეს.

კიევში პოლიციის სპეცრაზმსა და ხალხს შორის რამდენიმე შეტაკება იყო. პირველი შეტაკება მთავრობის სასახლესთან მოხდა. შენობასთან ჩავლის დროს დემონსტრანტების აგრესიულმა ნაწილმა შენობის დამცველ პოლიციელებს შეუტია. მათკენ ქვები, ხის და რკინის ხელკეტები და გაუგებარი კვამლმდენი ყუმბარები ისროლეს. პოლიციამ საპასუხოდ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, მაგრამ არავინ დაუკავებიათ. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პოლიციელებს სპორტული აღნაგობის პროვოკატორები დაესხნენ თავს. მოგვიანებით ინტერნეტში ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოკადრებიც გაჩნდა.

ევროპის მოედანზე ოპოზიციამ, პოლიციის მცირეოდენი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოახერხა კარვების ქალაქის აგება. კერძოდ, 20 საინფორმაციო ტენტი და 15 საარმიო კარავი დადგეს. ამ „ბანაკს“ ბარიკადები შემოავლეს. სამართალდამცავებმა ორჯერ სცადეს კარვების ქალაქში შესვლა, მაგრამ უშედეგოდ. პოლიციის სპეცრაზმმა მხოლოდ მანქანების სავალი ნაწილიდან ხალხის გადაწევა და მოძრაობის გახსნა მოახერხა. კარვების ქალაქს დემონსტრანტების სქელი ჯაჭვი იცავდა და „ბერკუტმა“ ამ ჯაჭვის გარღვევა ვერ მოახერხა. პოლიციასაც ხელკეტებით და კვამლმდენი ყუმბარებით უპასუხეს და სამართალდამცავებმა ქუჩის მეორე მხარეს დაიხიეს.

ჩანს, რომ საპროტესტო აქციაზე ამდენი ხალხის მოსვლას არც ხელისუფლება ელოდა და არც ოპოზიცია. სამართალდამცავებმაც, ეტყობა, საჭიროდ არ მიიჩნიეს „არაპროპორციული ძალის“ - მაგალითად, ჯავშანმანქანების ან ბულდოზერების გამოყენება. ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაშიც ვრცელდება უკრაინის სახელისუფლებო სტრუქტურებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რომ ხელშეკრულებების ხელმოწერაზე ევროკავშირთან მუშაობა წუთითაც არ შეწყვეტილა და მოლაპარაკებების წარმატებით დამთავრებისა და პოლიტიკური ნების შემთხვევაში, გამორიცხული არაფერია. პრეზიდენტი იანუკოვიჩი ვილნიუსის სამიტს ჩვეულებრივად დაესწრება, როგორც ეს დაგეგმილიც იყო. იანუკოვიჩიც და აზაროვიც აცხადებენ, რომ უკრაინის ევროპულ კურსზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ გარდამავალი პერიოდისთვის სერიოზული ეკონომიკური პრობლემებია დამახასიათებელი და მათ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ეკონომიკური კომპენსაციის მიღება უნდათ. აზაროვმა გუშინწინ პირდაპირ თქვა, რომ ევროკავშირში არც ერთი ქვეყანა არ შესულა გარკვეული დახმარების გარეშე. იანუკოვიჩმა გუშინ ხალხს ტელევიზიით მიმართა და კვლავ შეეცადა, ევროინტეგრაციის გზაზე შეფერხება ამ ეკონომიკური პრობლემებით და ხალხზე ზრუნვით აეხსნა. მან თქვა, რომ უკრაინას ევროპული კურსისგან ვერავინ გადაახვევინებს და ხალხს „სამოქალაქო თვითშეგნებისთვის“ მადლობა გადაუხადა.

გუშინ ოფიციალური განცხადება გააკეთა ევროკავშირის ხელმძღვანელობამ, კერძოდ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარემ (მოკლედ ევროკავშირის პრეზიდენტმა) ჰერმან ვან რომპეიმ და ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ. მათ თქვეს, რომ ხელშეკრულებების ხელმოწერა დღის წესრიგიდან არავის ამოუღია და შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ვილნიუსში ხელმოწერა კვლავ შეიძლება შედგეს. ამავე განცხადებაში მათ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში შემავალ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე რუსეთის ზეწოლა გააკრიტიკეს.

ირანთან წინასწარი ბირთვული შეთანხმება მიღწეულია

პირველი გვერდიდან

ცხადია, ვგულისხმობთ ისრაელს, რომელმაც პირიქით, ამ შეთანხმებას უწოდა ისტორიული შეცდომა, რომელიც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის.

ჟენევაში მოვლენები წინა რაუნდის მსგავსად განვითარდა, რომელიც ნოემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა, თუმცა შედეგი რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. 20 ნოემბერს, ოთხშაბათს დაწყებული მოლაპარაკებები, რომელიც, სავარაუდოდ, პარასკევს უნდა დასრულებულიყო, კიდევ ორი დღით გაგრძელდა. მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ირანისა და ექვსეულის სახელმწიფოთა (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები, ასევე ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონი (როგორც კოორდინატორი). შაბათს წინა დღეების გართულებებისა და ირანის მიერ პოზიციების მოულოდნელი გამკაცრების მიუხედავად, ძირითად საკითხებზე შეთანხმდნენ და როგორც წინა რაუნდზე, ახლაც საჭირო გახდა მხარეთა მიერ მომლაპარაკებელთა «სტატუსის ამაღლება“ მინისტრების დონემდე. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბას არაკჩიმ შაბათს საღამოს განაცხადა, რომ შეთანხმება 98 პროცენტით მიღწეულია. მინისტრებს დასჭირდათ სერიოზული მუშაობა ღამისთევით. კვირას, გამთენიისას, ირანის ბირთვული პროგრამისა და ამ ქვეყნის მიმართ მოქმედი საერთაშორისო სანქციების შერბილების შესახებ წინასწარი შეთანხმება გაფორმდა.

პირველმა ამის შესახებ მსოფლიოს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა «ტვიტერის“ საშუალებით აცნობა, შემდეგ ეს კეტრინ ეშტონის წარმომადგენელმა მიკაელ მანმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინსტრმა ლორან ფაბიუსმა დაადასტურეს. ბრიტანეთის «ფორინ ოფისის“ ხელმძღვანელმა უილიამ ჰეიგმა ამ შეთანხმებას უწოდა «კარგი ახალი ამბავი მთელი მსოფლიოსთვის“.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შეთანხმებას უწოდა პირველი, თუმცა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საკითხების მთელი კომპლექსის მოგვარების საშუალებას აჩენს. მისი სიტყვებით, «დიპლომატიამ გაკვალა გზა უფრო უსაფრთხო მსოფლიოსკენ.“ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ თქვა, რომ ირანთან ბირთვული პროგრამის ირგვლივ მიღწეული შეთანხმება ახლო აღმოსავლეთს უფრო უსაფრთხო რეგიონად აქცევს. როგორც ირკვევა, ირანთან პარალელურ უაღრესად გასაიდუმლოებულ ორმხრივ მოლაპარაკებებს აწარმოებდა აშშ-ც, რათა ჟენევის ფორმატში წარმატების მიღწევა მოხერხებულიყო. ამის შესახებ არაფერი იცოდა თვით აშშ-ს უახლოესმა მოკავშირემ რეგიონში - ისრაელმა.

შეთანხმების თანახმად, ირანმა ურანის 5 პროცენტზე უფრო მაღალ დონეზე გამდიდრება უნდა შეწყვიტოს. ქვეყანამ ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოდან საერთაშორისო ინსპექტორებს საშუალება უნდა მისცეს, თავისუფლად, ყოველდღიურ რეჟიმში შეამოწმონ ირანის ბირთვული ობიექტები ნათანზში და ფორდოში, სადაც ურანის გამდიდრება მიმდინარეობს. ამ ქარხნებში ირანმა აღარ უნდა დააყენოს ურანის გამამდიდრებელი ახალი, მით უმეტეს, უფრო ძლიერი და თანამედროვე ცენტრიფუგები. უნდა შეწყვიტოს მძიმე წყლის რეაქტორის მშენებლობა არაკში, სადაც პოტენციურად საიარაღო პლუტონიუმის წარმოებაც შეიძლება. ლაპარაკია აგრეთვე ირანის ხელთ არსებული 20 პროცენტამდე გამდიდრებული ურანის (აშშ-ს შეფასებით, ირანს, დაახლოებით, 200 კგ ასეთი ურანი აქვს) შერევაზე სხვა ურანთან, რათა მისი კონცენტრაცია დავარდეს.

სანაცვლოდ ირანს მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ნაწილი ახლავე შეუმსუბუქდება. ეს უპირველესად შეეხება დასავლეთის ბანკებში გაყინულ ქვეყნის ფულად აქტივებს და ეკონომიკის რამდენიმე სექტორს, მათ შორის ძვირფასი ქვების ექსპორტს. ამ სანქციების შემსუბუქებით, სხვადასხვა შეფასებებით, ირანი ნახევარი წლის განმავლობაში მიიღებს 6-დან 8 მილიარდ დოლარამდე.

შეთანხმება დადებულია ნახევარი წლით. ამ ხნის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკებები ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მოსამზადებლად. პარალელურად, დასავლეთის სახელმწიფოები ირანს დააკვირდებიან, რამდენად პატიოსნად ასრულებს შეთანხმების პირობებს. მოლაპარაკებების პროცესის დარღვევის ან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა ეს მოხსნილი სანქცია ავტომატურად აღდგება და სხვა, დამატებითი სანქციების შემოღებაც მოსალოდნელია.

ექვსეულის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლები, ამერიკიდან რუსეთის ჩათვლით, ჟენევაში მიღწეულ შეთანხმებას უწოდებენ მნიშვნელოვან, თუმცა პირველ ნაბიჯს პრობლების საბოლოო გადაწყვეტის გზაზე. პრეზიდენტმა პუტინმა წარმატების ღომის წილი რუსეთს «მიაწერა“ და განაცხადა, რომ მხარეებმა მოლაპარაკებებზე მათი მიდგომა გაიზიარეს, რომლის თანახმადაც, პრობლემა ეტაპობრივად უნდა მოგვარებულიყო და დათმობები ორმხრივი ყოფილიყო.

შეთანხმებას მიესალმა ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი. მისი თქმით, დოკუმენტი ირანის მიერ ურანის გამდიდრების უფლების ქონას გულისხმობს და დასძინა, რომ ირანი ატომური ბომბის შექმნას არ აპირებს. გავრცელდა ცნობა, რომ შეთანხმებას მხარი დაუჭირა ირანის სულიერმა ლიდერმა და ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა აიათოლა ალი ჰამენეიმაც. საერთოდ, ირანში კმაყოფილებას ვერავინ მალავდა. მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება მედიასაშუალებებით აღინიშნა. სოციალურ ქსელებშიც ირანელებმა დაადასტურეს თავისი სიხარული, უპირველესად ქვეყნის იზოლაციიდან გამოსვლისკენ გადადგმული ნაბიჯის გამო.

შეთანხმებამ მსოფლიო ბირჟებზეც იქონია გავლენა. ნავთობის ფასი ბარელი ნავთობისთვის ორ დოლარზე მეტით დაეცა.

უკმაყოფილოა მხოლოდ ისრაელი. ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და სხვა მინისტრებმაც შეთანხმებას ძალიან ცუდი უწოდეს და დასძინეს, რომ ისრაელი ამ ხელშეკრულებით თავს ვალდებულად არ მიიჩნევს და უფლებას იტოვებს, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამოუკიდებლად იმოქმედოს. საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა შეთანხმებას უწოდა ირანის დიპლომატიის გამარჯვება. ისრაელის დაზვერვის, სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების მინისტრმა იუვალ შტაინიცმა, რომლის გამგებლობის სფეროშია ირანის ბირთვული პროგრამისგან შექმნილი პრობლემების მოგვარება, განაცხადა: «ისრაელი ვერ შეუერთდება საყოველთაო კმაყოფილებას იმ ხელშეკრულებით, რომელიც სიცრუესა და საკუთარი თავის მოტყუებას ემყარება.“ ებრაელების მტკიცებით, ხელშეკრულება არ ბილებს სანქციებს და არ გულისხმობს ირანის მხრიდან არც ერთი ცენტრიფუგის მოხსნას და განადგურებას.

ამერიკა კი ჟენევაში რაუნდის დამთავრების შემდეგ ორი დღე, ფაქტობრივად, ისრაელის დამშვიდების რეჟიმშია. ჯერ ჯონ კერიმ განაცხადა, რომ შეთანხმება უფრო უსაფრთხოს გახდის ისრაელსაც და ახლო აღმოსავლეთსაც. შემდეგ პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს ტელეფონით ესაუბრა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა. მან აღიარა, რომ ისრაელს აქვს სრული საფუძველი, სკეპტიკურად იყოს განწყობილი ირანის მიზნების მიმართ. ამის მიუხედავად, ობამამ სურვილი გამოთქვა, დაუყოვნებლივ დაიწყოს კონსულტაციები ისრაელთან, რათა თეირანის ბირთვული პრობლემის გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი გადაწყვეტის გზები მოიძებნოს.

ნუ დავუშვებთ გამოუსწორებელ შეცდომას!

პირველი გვერდიდან

თუმცა ამასთანავე მიმდინარეობს მათი მიკვლევის, წვდომა-გააზრებისა და აქტიური წარმოჩენის ნაყოფიერი პროცესი.

ამ ძეგლთათვის ჯერ სტატუსის გამარტივებული გზით მოხსნას, ხოლო შემდგომ კი, ძალიან ხშირად, მავანთა ცალმხრივი ინტერესების განსახორციელებლად მათსავე ხელყოფას - ნებსითა თუ უნებლიედ, გეომეტრიული პროგრესიით მოჰყვება ჩვენი ფასდაუდებელი საუნჯის ქართული კულტურისათვის უმძიმეს შედეგთა მომტანი განადგურება. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ ცნება „ადგილობრივი“ ძალიან პირობითია. ცხადია, ისიც, რომ ეს საგანძური მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნის - იგი საყოველთაო ღირებულებას წარმოადგენს.

გულსატკენია, რომ ისევ და ისევ, მოწმენი ვართ ნაჩქარევი და, სამწუხაროდ, არაკომპეტენტური განაზრახისა, მაშინ როდესაც კულტურულ მემკვიდრეობაზე თავდაუზოგავი ზრუნვა ცივილიზებული ქვეყნის პრესტიჟისა და განვითარებისათვის სტრატეგიულია. ზემოაღნიშნული წამგებიანი ნაბიჯის განხორციელების შემთხვევაში კი, ისედაც უკიდურესად დაზარალებულ ჩვენს ძეგლებს სასტიკი და გამოუსწორებელი დარტყმა მოელის!

ნუ დავივიწყებთ, რომ გადასარჩენია მრავალათასწლოვანი, სწორედაც უწყვეტი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის დაუცველობა ვანდალიზმის ტოლფასია XXI საუკუნეში.

საზოგადოების უპირველესი მოვალეობაა თვალისჩინივით გაუფრთხილდეს და მოუაროს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილ უმაღლესი ფასეულობის მქონე დანატოვარს, ხოლო ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას იმ უმნიშვნელოვანესი სულიერი და ნივთიერი საგანძურის შებღალვა, რომელიც ამდენი ქარტეხილისა და განსაცდელის მიუხედავად გადაურჩა ჟამთა სიავეს!

ეკრანზეა ფინეთი

თბილისის კინოფესტივალი ხუთ ფინურ ფილმს წარმოადგენს

ია ვეკუა

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, რაც ნიშნავს, რომ მის შესახებ სიახლეები ყოველდღიურად იმატებს. პირველ რიგში, მოგიწოდებთ ესტუმროთ ვებგვერდს tbilisifilmfestival.ge და აქ გამოქვეყნებულ სრულ პროგრამას გაეცნოთ. სია სექციების მიხედვითაა დაყოფილი, ამიტომ მასში ორიენტირება არ გაგიჭირდებათ. რამდენიმე დღეში ცნობილი გახდება სეანსების ზუსტი დროც, ამიტომ საიტს თვალყური ადევნეთ. ფილმების ჩვენება წელს მხოლოდ კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება, რაც მაყურებლისთვის ძალიან მოსახერხებელია.

თუ მითითებულ საიტზე გამოქვეყნებულ პროგრამას გადაავლებთ თვალს, ნახავთ, რომ ფესტივალის გამხსნელ ფილმად კვლავ დააბრუნეს ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“. რამდენიმე დღის წინ „24 საათში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ვიუწყებოდით, რომ კოღუაშვილის ფილმის უცხოელი პროდუსერების გადაწყვეტილებით, „შემთხვევითი პამენები“ ფესტივალზე საერთოდ არ იქნებოდა წარმოდგენილი და რომ გახსნის პატივი ფესტივალის საპატიო სტუმრისა და ჟიურის თავმჯდომარე მაიკლ ჰოფმანის „უკანასკნელ სადგურს“ ერგო. ცხადია, ოთხი წლის წინანდელი ფილმით ფესტივალის გახსნა ცოტა უხერხულია, მით უფრო, რომ სასურველია გამხსნელი ფილმი ადგილობრივი წარმოებისა იყოს. როგორც ჩანს, ფესტივალის ორგანიზატორებმა ძალები არ დაიშურეს იმისთვის, რომ „შემთხვევითი პამენების“ პროდუსერები სათავისოდ დაეთანხმებინათ, შედეგად კი მაყურებელს (მართალია, მხოლოდ გახსნაზე მიწვეულ მაყურებელს) შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთეს. კოღუაშვილის ფილმის გაქირავება ჩვენთან, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება, მაყურებელი კი მას აუცილებლად ეყოლება, რისი გარანტიც რეჟისორის ადრინდელი ნამუშევარი „ქუჩის დღეები“ გახლავთ.

რაც შეეხება მაიკლ ჰოფმანის „უკანასკნელ სადგურს“, ლევ ტოლსტოის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ამსახველმა ფილმმა სიის ბოლოში გადაინაცვლა და მას 8 დეკემბერს, გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ ვნახავთ.

ახლა კი ფესტივალის ერთი კონკრეტული სექციის შესახებ: „ქვეყანა ფოკუსში“ წელს ფინეთს წარმოადგენს, მაყურებელი კი 2011-2012 წლებში გადაღებულ ხუთ ფილმს ნახავს. ამ სექციას ფინეთის კინოფონდი გვთავაზობს, ხუთიდან საუკეთესოდ კი აკუ ლოუჰიმიესის „შიშველ პორტს“ (ორიგინალში Vuosaari) ასახელებენ. ფილმში მოქმედება ჰელსინკის გარეუბან ვუოსაარში ხდება, სადაც ერთმანეთს რამდენიმე განსხვავებული ადამიანი ხვდება: ამერიკელი ბიზნესმენი, ყოფილი ცოლ-ქმარი, ნარკომანები, განუკურნებელი სენით დაავადებული დედა პატარა ქალიშვილით, დაკარგული ბავშვი, სახლიდან გაქცეული ბიჭი, დიდებაზე მეოცნებე გოგონა და სხვები. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც სიყვარულისა და სითბოს სანაცვლოდ ყველანაირი ნაბიჯის გადადგმაზე თანხმდებიან.

2011 წელს ჩიკაგოს კინოფესტივალის დამწყებ რეჟისორთა კონკურსის გამარჯვებულია ცაიდა ბერგროტი, რომელმაც იმ წელს „კარგი ვაჟიშვილი“ გადაიღო და საერთაშორისო მაყურებელსაც წარუდგინა. ფილმი თაობებს შორის მარადიული კონფლიქტის თემას ეხმიანება, კერძოდ კი მარტოხელა დედისა და მოზარდი ვაჟიშვილის ურთიერთობას. მოზარდების თემას აგრძელებს სამი „იუსის“ (ფინური „ოსკარი“) მფლობელი ფილმი „თითქმის 18“. ფილმი ხუთი მოზარდი მეგობრის პატარა ისტორიაა, რომელშიც მათი ოცნებები, სურვილები, მომავლისადმი შიში და მშობლებთან ურთიერთობაა ჩატეული.

მაყურებელი ასევე ნახავს პეტრი კოტცივას „ვირთხების მეფეს“, რომელსაც რეჟისორი პროდუსერთან ერთად წარმოადგენს, ამრიგად ფილმის ჩვენების შემდეგ მაყურებელს მათთან გასაუბრებაც შეეძლება. „ვირთხების მეფე“ ონლაინ ვიდეოთამაშებით გატაცებული ახალგაზრდას შესახებაა, რომელიც ამ ჩვევისგან განთავისუფლების გზაზე რეალურ ცხოვრებაში არსებულ სისასტიკესა და ხიფათს აწყდება. ინტროვერტი ბიჭის ცხოვრებასა და მის უიღბლო, თუმცა თავგადასავლებით სავსე სიყვარულის ამბავს კი მატი კინუნენის „მის ლურჯი ჯინსი“ გაგვაცნობს.

აქვე შეგახსენებთ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო ფილმების ჩამონათვალს: არჩილ ქავთარაძის «კომა“ (საქართველო), ერდემ ტეპეგოზის «ნაწილაკი“ (თურქეთი), მარია სააკიანის «ეს მე არ ვარ“ (სომხეთი-რუსეთი-დანია-გერმანია), ანდრეა პალაოროს «მედეა“ (აშშ-იტალია), პენი პანაიოტოპულოს «სექტემბერი“ (საბერძნეთი-გერმანია), რუფატ ჰასანოვისა და ელვინ ადიგოზელის «ქამელეონი“ (აზერბაიჯანი-საფრანგეთი-რუსეთი), იგნას იონინასის «მოთამაშე“ (ლიტვა-ლატვია), იური ბიკოვის «მაიორი“ (რუსეთი), მარია საფოვსკას «ქალთა დღე“ (პოლონეთი) და მარინა ერ გორბახისა და მეჰმეტ ბაჰადირ ერის «შემიყვარე“ (თურქეთი-უკრაინა).

თანამედროვე გერმანულენოვანი დრამატურგია - ორი წიგნის პრეზენტაცია

დღეს, 26 ნოემბერს, 18:30 საათზე, გოეთეს ინსტიტუტში (ზანდუკელის N16) გაიმართება «თანამედროვე დრამატურგიის სერიით“ გამოცემული - თანამედროვე გერმენულენოვანი დრამატურგიის“ ორი წიგნის პრეზენტაცია.

მათში შესულია: მარიუს ფონ მაიენბურგის, ლუკას ბერფუსის, ფოლკერ შმიდტის, როლანდ შიმელპფენიგის, ფილიპ ლიოლეს, დეა ლოერის, იგორ ბაუერსიმას, რეჟან დევინიეს, ნინო ხარატიშვილის პიესები, ასევე, ინფორმაციები ავტორებსა და მთარგმნელებზე, ნინო ხარატიშვილის წერილი «თეატრი, ანუ ქვიშაში წერა“.

თარგმანები ეკუთვნით: ანა კორძაია-სამადაშვილს, შორენა შამანაძეს, ოთარ ყარალაშვილს, მაია ფალავანდიშვილს.

«თანამედროვე გერმენულენოვანი დრამატურგია“ მომზადდა და გამოიცა გამომცემლობა «არტანუჯისა“ და «საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ თანამშრომლობითა და დაფინანსებით. პროექტის ავტორები არიან: თამარ კიკნაველიძე და მაიკო კუდავა, რედაქტორი ირაკლი სამსონაძე, მხარდამჭერები - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შვეიცარიის საელჩო საქართველოში, PROHELVETIA.

პრეზენტაციის ფარგლებში მოეწყობა წიგნების გამოფენა-გაყიდვა. დასწრება თავისუფალია. **24 საათი**

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025457

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 20:33
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	97881 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	392 ლარი
გარანტიის ოდენობა	979 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025451

შემსყიდველი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 19:23
წინადადებების მიღება იწყება	27.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	29.11.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	21326 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45454000-შენობების რეკონსტრუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	250 ლარი
გარანტიის ოდენობა	213 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025455

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 20:29
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	199100 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79400000-ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79418000-შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	796 ლარი
გარანტიის ოდენობა	1991 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025452

შემსყიდველი	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 19:28
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	399900 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45213150-საოფისე შენობის მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 9 (ცხრა) თვის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5000 ლარი
გარანტიის ოდენობა	3999 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025454

შემსყიდველი	საბურთალოს რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 20:26
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	556600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45220000-საინჟინრო და სამშენებლო სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის30 ივნისამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3000 ლარი
გარანტიის ოდენობა	5566 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025456

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 20:30
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	649400 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2598 ლარი
გარანტიის ოდენობა	6494 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025460

შემსყიდველი	სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 21:39
წინადადებების მიღება იწყება	27.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	29.11.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	18083 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან 8 დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	75 ლარი
გარანტიის ოდენობა	181 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025458

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 20:35
წინადადებების მიღება იწყება	11.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	16.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	400000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	85100000-ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	85100000-ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1600 ლარი
გარანტიის ოდენობა	4000 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ქართველების წარმატებული ტური ესპანურ პრიმერადივიზიონში

ესპანეთის პრიმერადივიზიონში გამარჯვებები მოიპოვეს ქართველების გუნდებმა. გიორგი შერმადინმა და ვიქტორ სანიკიძემ „სარაგოსას“ შემადგენლობაში გამორჩეულად ითამაშეს და თავიანთი გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

„სარაგოსამ“ „ხუვენტუდს“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში - 87:83 დაამარცხა. პირველი ტაიმის შემდეგ არაგონული გუნდი 16 ქულით იგებდა, მაგრამ სტუმრებმა მესამე პერიოდში 22:9 იმარჯვეს და თამაშს ინტრიგა დაუბრუნეს. გადამწყვეტმა მეოთხედმა შეუპოვარ ბრძოლაში ჩაიარა. საბოლოოდ სარაგოსელებმა გაიმარჯვეს.

არაგონელთა შორის საუკეთესო იყო ვიქტორ სანიკიძე, რომელსაც ამისთვის მხოლოდ 19 წუთი დასჭირდა. სანიკიძე სასტარტო ხუთულში არ ყოფილა, მაგრამ მოედანზე გასულმა სარაგოსელებს უდიდესი დახმარება გაუწია - 16 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. ვიქტორმა 6-დან 4 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

სასტრტოში იყო, თუმცა, სანიკიძეს მსგავსად, 19 წუთი ითამაშა გიორგი შერმადინმა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 5

ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 12 ქულა მოაგროვა და, ამასთან ერთად, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. მარგი ქმედების კოეფიციენტით შერმადინი „სარაგოსაში“ მესამე იყო ჯონათან ტაბუს შემდეგ, საუკეთესო კი, როგორც ვთქვით, სანიკიძე გახდა.

ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მიითვალა ბექა ბურჯანაძის „კახასოლმა“. სევილიელები „გრან კანარიას“ ესტუმრნენ და მეტოქეს, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა, მოულოდნელი მარცხი აგემეს - 68:58.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 07:43 წუთი გაატარა და გუნდს 2 ქულა და 1 მოხსნა შესძინა. ბურჯანაძემ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და 2 სამქულიანი ააცილა, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ.

ორივე „ქართულ გუნდს“ 4 მოგება და 3 მარცხი აქვს - „სარაგოსა“ მე-5 ადგილზეა, „კახასოლი“ - მე-6-ზე. მე-8 ტურში, 30 ნოემბერს, „კახასოლი“ მადრიდის „რეალს“ უმასპინძლებს, ხოლო „სარაგოსა“ 1 დეკემბერს მეორე ესპანურ გრანდს - „ბარსელონას“ ესტუმრება.

საერთაშორისო ტურნირი ტყვიის სროლაში

ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის სახელობის ტირმა ტყვიის სროლაში შოთა ქველიაშვილის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშებას უმასპინძლა. საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა საქართველოს, აზერბაიჯანისა და მალაიზიის სპორტსმენებმა მიიღეს.

საპრიზო ადგილებისათვის ჯამში სულ 44 სპორტსმენი იბრძოდა ორ-ორ ასაკობრივ კატეგორიაში ვაჟებსა და ქალებს, ასევე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის, 23 ნოებერს საუკეთესოები ქალთა და გოგონათა შორის გამოვლინდნენ, 24 ნოემბერს კი პირველობისათვის ვაჟები და ჭაბუკები იბრძოდნენ.

ტურნირის გამარჯვებულთა დაჯილდოება ნინო სალუქვაძის ტირში 25 ნოემბერს გაიმართა. საუკეთესოები საქართველოს ტყვიის სროლის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებმა მედლებით, სიგელებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოეს, გამარჯვებულებს წარმატება მიულოცა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ.

შოთა ქველიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის შედეგები

ვაჟები
1. რუსლან რუნოვი - (აზერბაიჯანი, 671.2 ქულა)
2. რასულ მამადოვი (აზერბაიჯანი, 668.4)
3. ლევან ქადაგიძე (საქართველო, 659.1)

ჭაბუკები
1. ახუნდავ ურფანი (აზერბაიჯანი, 568)
2. ცოტნე მაჭავარიანი (საქართველო, 559)
3. ვლადისლავ მაიროვი (საქართველო, 556)

ქალები
1. ნინო სალუქვაძე (საქართველო, 478.1)
2. ირადა აშუმოვა (აზერბაიჯანი, 473.4)
3. ნიგიარ ნასიროვა (აზერბაიჯანი, 469.6)

გოგონები
1. ლიზი კილაძე (საქართველო, 370)
2. მარიამ ბლუაშვილი (საქართველო, 367)
3. ქეთევან შედანია (საქართველო, 366)

სამინისტროს პრესსამსახური

ქართველი სამბისტების ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი

საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა სანკტ-პეტერბურგის მსოფლიო ჩემპიონატი.

ქართველმა სამბისტებმა ჯამში 2 ოქროს, 1 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს და ასევე გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს,

მსოფლიო ჩემპიონები ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ.) და ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ.) გახდნენ. ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდა ლაშა გურულს (100 კგ.) - ვერცხლის მედალი, ბრინჯაოს მედლები კი კახა მამულაშვილმა (74 კგ.), მძიმეწონოსანმა ნოდარ მეტრეველმა და ირინე ლეონიძემ (+80 კგ.) მოიპოვეს.

ამრიგად, საქართველოს სამბისტთა ნაკრები თბილისში 7 მედლით ბრუნდება.

მსოფლიო ჩემპიონატზე მთავარ მწვრთნელ ჯონდო მუზაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრები ვაჟთა შორის სპორტულ სამბოში ცხრა, საბრძოლო სამბოში ორი, ხოლო ქალთა შორის სამი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

ფეხბურთი ინერციით

ზურა თალაკვაძე



ყველაფერს ინერციით არ უნდა ვაკეთებდეთ. არ შეიძლება ინერციით ყველაფრით უკმაყოფილო იყო. და მაინც ვართ. არ შეიძლება ინერციით ყოველთვის ოპოზიციაში იყო. და მაინც უნდა ვიყოთ. არ შეიძლება ინერციით ვინმე გიყვარდეს და ვერ გრძნობდე განსხვავებას სიყვარულსა და შეჩვევას შორის. და მაინც გვგონია, რომ გვიყვარს. არ შეიძლება ინერციით შენი მეგობრების მოტყუება. შეეცადეთ ერთხელ, მრავალფეროვნებისთვის, სიმართლეც თქვათ. არა, არ ვიტყვით იმ სიმართლეს. ტყუილს შევეჩვიეთ. არ შეიძლება ინერციით გვეგონოს, რომ ფეხბურთში ჯერ მესია და მერე საქართველო. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ცუდ ვარიანტში, მესი, ის პორტუგალიელი ვირტუოზი და მერე საქართველო. ინერციით ოპტიმიზმის პლედი გვაქვს გადაფარებული და ინერციით ვთბებით. რომ შეგვცივდება, ინერციით, ამას არ ვიტყვით და გავცივდებით. ქართული ფეხბურთიც ინერციით, სულ გრიპით თამაშობს. ისევ იმ ინერციით, ამას ვერ ვხედავთ და ვიწყებთ ახალ ლექციას თემაზე „როგორ ვიძველბიჭოთ და მოვხსნათ „ტრენერი“, რომელიც კარგ ბიჭებს (ანუ „მოთამაშეებს“) ყელში ამოუვიდათ. ამას ინერციის გარეშე, გააზრებულად ვაკეთებთ.

ფეხბურთში სხვებს ჩემზე მეტი ესმით და მეგობრები დღემდე მარწმუნებენ, რომ დელ პიერო, პირესი და ჟინოლა, ჩემი საყვარელი ფეხბურთელები, „ნეკერმანის მოდელები“ და „ერთჯერადები“ არიან. მე მაინც ეს სამი მხატვარი მომწონს და ინერციის გარეშე, გულით ბედნიერი ვარ. მერე იწყება საუბარი ქართულ ფეხბურთზე, როგორ არ არის ეს მწვრთნელი საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსი, როგორ არ არის ეს მწვრთნელი არაფრის ღირსი და როგორ უნდა გადანაწილდეს ამ მწვრთნელის ხელფასი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე. აქ ალბათ იგულისხმება, რომ ბავშვები, გარკვეულ პერიოდამდე მაინც, ასაკის გადაკეთებით განვითარდებიან და ეს თანხა რომელიმე ქართველ სპეციალისტს უნდა დაურიცხონ. შედეგი არ შეიცვლება და „მაყუთი“ დაიზოგება - მიაჩნიათ ექსპერტებს. და იწყებენ ლოგიკურად ალოგიკურ და კრეტინულ საუბარს, რა „ბანძები“ და დილეტანტები არიან (ან იყვნენ) ტოპმიოლერი, კუპერი და ბოსკამპი. ქართული ინერცია ამ დროს პიკზეა. ინერციით ყველა ყველას ჭკუას არიგებს და არავინ აზრზე არ არის, გამოსავალი სად უნდა ნახოს.

ამ დღეებში ქვეყნის ახალ პრეზიდენტზე ხშირად ტელეეთერი თემურ ქეცბაიამ შეავსო. საუბრებით ყველაფერზე და, ძირითადად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი კომენტარს აკეთებს ბოლო საკვალიფიკაციო ციკლსა და ნაკრებიდან წასული მოთამაშეების კომენტარებზე. ქეცბაია, ძირითადად, მართალია. მწვრთნელი მართალია იმაში, რის დასაბუთებასაც ცდილობს და ამით შედეგი არ იცვლება. მაინც ბოლოზე ან ბოლოსწინა ადგილზე ვამთავრებთ შესარჩევ ციკლს და ახალ ტურნირს, ისევ იმ ქართული ინერციით, ანუ გახუნებული იმედით ვიწყებთ. და ბევრ განულებულ არსებას უნდა ეყოს ტაქტი, რომ თემურის საუბრის სტილზე არ იქილიკოს. ულამაზო და ცუდია. დავუბრუნდეთ მთავარს.

რატომ უნდა გავიდეს საქართველოს ნაკრები ევროპის, მსოფლიოს, რომელიმე ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე?

ვერ გავა. იმიტომ რომ ნაკრებში ინერციით გაპიარებული ქართველები თამაშობენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა (კანკავა, რევიშვილი, ანანიძე, გურამ კაშია, ლორია), ყველას ინერციით ჰგონია, რომ თითქმის რიბერი ან კანავაროა. მორიდებულად, პირესს ან დელ პიეროს ვერ ვახსენებ, „ტრუხა“ მოთამაშეები არიან.

რეალურად, არ გვყავს ფეხბურთელი, რომელიც ფეხბურთს თამაშობს. რეალურად არ გვყავს ფეხბურთელი, რომელიც მწვრთნელის დაცვით სქემაში, ჩაკეტილ თამაშში სილამაზეს შეიტანს. ამ სილამაზეს ინტელექტი და რისკი უნდა. რაც ინერციით არ მოდის.

ძალიან რთულია იოცნებო მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლაზე, როდესაც მთელ ციკლში მთელმა ნაკრებმა 3 გოლი გაიტანა. როდესაც მოთამაშეები ბედნიერები არიან, თუ მატჩის შემდეგ რომელიმე კარგი ფეხბურთელის მაისურს მოიხელთებენ. ჩვეულებრივი, უინერციო მოთამაშეები ბედნიერები არიან, როდესაც საკუთარი ქვეყნის ღირსებას, საკუთარ ღირსებას იცავენ. იქ ინერციით ვერ გაქაჩავ.

ამ ნაკრებთან ერთად ცოტას მოიგებ. შეიძლება, იმაზე ოდნავ მეტს, ვიდრე ამ შესარჩევში მოვიგეთ, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც არ შეიცვლება. იმიტომ რომ ინერციით ვაკეთებთ ყველაფერს და ზარმაცი, დაუნახავი ხალხი ვართ. იდეაში ყოველთვის ასე იყო.

ჩემი მეგობრის, დათო კოვზირიძის ერთ გენიალურ ფრაზას მოვიშველიებ - საქართველოს ნაკრებიდან უნდა წავიდნენ მოთამაშეები, უნდა წავიდეს თემურ ქეცბაია და ნაკრებში უნდა ითამაშოს ხალხმა. სახალხო ნაკრები იქნება.

ჟურნალისტებიც ინერციით აკეთებენ საქმეს. მთელი ამ ქეცბაფობიის დროს, სიტუაციის ერთადერთი საღი, უკომპლექსო, მოურიდებელი, პროფესიონალური შეფასება გააკეთა ლევან სალუქვაძემ და დანარჩენები პასიურ-მორიდებულ-ინერციულ როლებში შედიან. და ჩვენი ფეხბურთის იულ ბრინერს უკვე მერე რედაქციებიდან აკრიტიკებენ.

ყველაზე ზედაპირული, ყველაზე ერთჯერადი აზროვნება გვაქვს იმაზე, რაზეც თითქოს გული შეგვტკივა და რაც თითქოს ჩვენია, ჩვენშია და ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ჟურნალისტი ინერციით, ფეხბურთელი ინერციით, ყველაფერი ინერციით.

არ მოგვწონდა ტოპმიოლერი, არ მოგვწონდა კუპერი, ჟირესი ჩვენი ფეხბურთის დონეს არ აკმაყოფილებდა. რეალურად ჩვენი ფეხბურთის დონეს მხოლოდ ახალი „იქსპიატები“ და გახეხილი, დახეული „დიზელი“ ან „არმანი“ აკმაყოფილებს.

ქეცბაიაც ინერციით წავა. დაიღლება და წავა. დაიწყება დასვენებული ციკლი, რომლის ბოლოშიც, ვინც არ უნდა იყოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ინერციით, ზედმეტი იქნება.

სუფთა ქართული ვარიანტია.

იცით, ვის მოვუგეთ?

პირველი გვერდიდან

ერთი სიტყვით, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, საქართველოს ნაკრებმა პირველი დონის გუნდი დაამარცხა და IRB რეიტინგში აშშ-ის ნაკრებთან ერთი კვირით ადრე წაგებული მატჩით დაკარგული მეთექვსმეტე ადგილის დაბრუნებით სტატუს კვო აღადგინა.

ისტორიული გამარჯვებიდან სამი დღის შემდეგაც ემოციების გარეშე საუბარი უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე ის მოგება. ეს არ იყო უბრალოდ გამარჯვება. ეს იყო გამარჯვება გუნდთან, რომელიც ხანდახან ბობოლებსაც უგებს. მოუგია, ავსტრალიისთვის, საფრანგეთისთვის, ირლანდიისთვის, შოტლანდიისთვის, უელსისთვის, იტალიისთვის, არგენტინისთვის.

ის იყო, „მიხეილ მესხზე“ მოვლენილმა ფრანგმა რეფერიმ რომენ პუატიმ საქართველო VS სამოა დაასრულა, რომ... იცით, რა გუნდი დავამარცხეთ? - ატყდა ღრიალი.

კუნძულელებთან დაპირისპირებამდე ერთი რამ ვიცოდით: იქნებოდა ნამდვილი ომი, რომელსაც, დიდი ალბათობით, სტუმრები მოიგებდნენ. გამოგიტყდებით და, მეც ასე წარმომედგინა. პატარა იმედს, რომ გამარჯვება დაგვრჩებოდა, საიდუმლოდ ვინახავდი იმის შიშით, რომ ვინმეს აღმოჩენასთან მდგარი შუა საუკუნეების მეცნიერივით გიჟად არ გამოვეცხადებინე.

ახლა წარმოვიდგინოთ, ეს გამარჯვება მსოფლიო თასზე რომ გვეზეიმა. რაგბის სამყაროს კონსერვატორი მმართველები ალბათ ყურებს არ დაუჯერებდნენ, საკუთარ თავს არ გამოუტყდებოდნენ, რომ საქართველო პირველი დონის გუნდებთან ჭიდილს იმსახურებს.

მატჩამდე ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა თქვა, თუ მოვიგეთ, ეს იქნება კარგი გზავნილი მომავალში პირველი დონის გუნდებთან შეხვედრებისო. და მოვიგეთ!

საერთოდ, დაუწერელი კანონივითაა და ახალს არაფერს ვიტყვი, რომ პირველი დონის, გნებავთ, ზედა ეშელონის გუნდები მეორე დონის გუნდებს, ფეხბურთისგან განსხვავებით, როგორც წესი, უგებენ. ფეხბურთში მსოფლიო თუ ევროპის შესარჩევში, ამხანაგურებში მთელი სეზონის განმავლობაში უსახელო გუნდებს არაერთხელ წაუქცევიათ გრანდი და ეს ჩვეულებრივი ამბავია. რაგბიში კი სენსაცია სენსაციაა.

სამოასთან თამაში არ იყო მხოლოდ თამაში. საქართველოს ნაკრები ისე იბრძოდა, თითქოს ამ მატჩის ბედზე იყო დამოკიდებული მსოფლიო თასის ფინალში გასვლა, სამწუხარო მათთვის, ვინც მანუ-სამოასთან ისტორიული გამარჯვება საკუთარი თვალით ვერ ნახა, ვერ ნახა მსოფლიო რეიტინგში საქართველოზე 9 საფეხურით წინ მდგომი სამოას დამარცხება.

მეტიც, შაბათ-კვირას ევროპულ მინდვრებზე ჩატარებული ტესტმატჩებიდან ერთადერთი საქართველო აღმოჩნდა, რომელმაც სტუმარი დაამარცხა!

მაგალითები? - ირლანდიამ შინ ახალ ზელანდიასთან წააგო. ახალი ზელანდია ახალი ზელანდიაა, მაგრამ ირლანდია ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა, იმ დრამატულ შეხვედრაში „ოლ ბლექსი“ რომ წაექცია. გამარჯვებასთან ახლოს მყოფი ირლანდია სამხრეთელებმა ბოლო წამზე გატანილი ლელოთი და ზუსტად შესრულებული გარდასახვით დაამარცხეს - 24:22.

საფრანგეთს სტუმრობდა სამხრეთ აფრიკაც, მაგრამ „მამლებს“ „ქურციკებთან“ „სტად დე ფრანსეს“ აურამაც ვერ უშველა - ფრანგები ბოლო 16 წლის განმავლობაში პირველად დამარცხდნენ სამხრეთელებთან - 19:10; იმარჯვა ავსტრალიამაც - შოტლანდიას 21:15 მოუგო; მოიგო არგენტინამაც - იტალიასთან რომში 19:14.

და მაინც იყო ერთი გამონაკლისიც - უელსმა ტონგა 17:7 დაამარცხა, მაგრამ უელსი გუშინდლამდე რეიტინგში მე-6 იყო, ტონგა კი - მე-12 საფეხურზე. ასე რომ, აქ რაგბის იმ დაუწერელი კანონით ყველაფერი კანონზომიერად მოხდა.

ახლა ჩვენებზეც ვთქვათ. უფრო სწორად, ერთა თასის ბინადრებზე, რომლებთანაც გაისად მსოფლიო თასის შესარჩევი გველის. მათ შორის, პირველ ყოვლისა, რუმინეთს ვიღებთ სამიზნეში, რომელმაც ერთი კვირის წინათ კანადასთან მოგებისა და ბორჯღალოსნების აშშ-სთან წაგების წყალობით ჩვენი მე-16 ადგილი დაიკავა, დღეს კი სტატუს კვო აღდგა - „მუხის ფოთლები“ ფიჯისთან 7:26 დამარცხდა.

აშშ, რომელმაც მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ჩვენი ბავშვური შეცდომის წყალობით რუსთავში მოგვიგო, რუსეთს სტუმრობდა, რაც 28:7 გამარჯვებით აღნიშნა.

კანადამ საქართველოსთან და რუმინეთთან წაგების შემდეგ პორტუგალიას 52:8 მოუგო, ხოლო იაპონიამ ესპანეთს - 40:7.

IRB რეიტინგი:

1 (1). ახალი ზელანდია	93,81
2 (2). სამხრეთ აფრიკა	89,34
3 (4). ავსტრალია	86,09
4 (3). ინგლისი	85,70
5 (6). უელსი	80,98
6 (5). საფრანგეთი	80,87
7 (7). ირლანდია	79,33
8 (8). სამოა	77,34
9 (9). შოტლანდია	76,56
10 (10). არგენტინა	76,44
11 (13). ფიჯი	74,21
12 (12). ტონგა	73,21
13 (11). იტალია	73,13
14 (14). იაპონია	72,06
15 (15). კანადა	70,75
16 (17). საქართველო	**69,07**
17 (16). რუმინეთი	67,47
18 (18). აშშ	67,41
19 (19). რუსეთი	61,14
20 (21). ურუგვაი	60,77
21 (20). ესპანეთი	60,62
22 (22). პორტუგალია	59,37
23 (23). ნამიბია	58,79
24 (24). კორეა	58,10
25 (25). ბელგია	57,52
26 (26). გერმანია	56,20
27 (27). ჩილე	55,44
28 (28). მოლდოვა	55,11
29 (29). ჰონგ კონგი	54,56
30 (30). ზიმბაბვე	53,56
...	